

572 /
1958 / 2

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ღამა

აქვს, ტარე ჭყვინტა,
იღვინე, იყრო შარო,
და შურე, ქრავლო, სქავლო,
ხამბოლო, კახურაო!

№ 2 საბავშვოს, ვაჟ ცხენავალი კოწიბების
შუადანი გამოცემებადსთნი. თბილისი
1958





საქართველოს გაზაფხული

იოსებ ნონაშვილი

გაზაფხულის დასაწყისს
თებერვალი ჰქვია,
ეურს ამოჰყოფს ენძელა,
შემოგვიცინებს ის.

თებერვალში აღმართა
სუნამო ხალხსა დრომა,
დღეს რომ ბუდნიერებს
შუქნათელად მოჩანს.


ჯერ თქვენ დაზღებულებ
არ იყავით მაშინ,
რუსი კაცი ქართველ კაცს
მოუღვა მხარში.

ისე, როგორც რუსეთში,
მოსწეს ხალხის მტერი
და გამალეს თქვენძმრის
დრომა აღისიერი.

ძის სურვალ აცნობა
ღუჩინსა და სტალინს:
„წითელ დროშას თბილისში
ღაღად არხვეს ქარი!“

თქვენც ამ დროშას შეჭხართ,
დროშას ცეცხლისფრთიანს.
... საქართველოს გაზაფხულს
თებერვალი ჰქვია.





მეხუთა თვალი

როსტომ ბეჰნიშვილი

7488

ეზოში სატვირთო მანქანა მოვიდა. იმხელაა, რომ შეუძლია მთელი ეზოს ბავშვები დაიტოს. მიხა პირველი შეხტა მანქანაზე, მაგრამ შოფერმა ძია ვანომ ძირს ჩამოიყვანა. ძია ვანო გურამის მამაა; მიხა და გურამი მეგობრები არიან. დღესაც, როცა მიხა მანქანაზე შეხტა, ფგონა, ამხანაგი მიეხმარებოდა, მაგრამ გურამმა მამას გაუფგონა და პირველი ჩამოვიდა ძირს. მიხას გაუკვირდა: მე პატარა ფეხები მაქვს, მანქანა კი უზარმაზარ თვლებზე შემდგარა, რას გავაფუქებდი, რომ დაბლა ჩამომიყვანესო...

ის იყო, მეგზოვემ ეზო დაგავა, რომ ყირაფივით გრძელკისერა მანქანაც მორახრახნდა. ვილაცა კაცმა, ხელში დიდი ქალღღებები რომ ეჭირა, მუშებს უთხრა, აიღეთ გურამის სახლიო.

მიხა გაოცდა: სახლი ბურთი ხომ არ არის, რომ აიღონ?

როგორც კი დადამდა, გრძელკისერა

მანქანა არახრახნდა და ძიგიძიგი დაიწყო. მან თავისი უზარმაზარი ყბა გაიქნია, ძველი სახლის დანგრეულ კედელს პირი ჩაავლო, კისერი ასწია და ქვა-ღორღი ძია ვანოს რკინის მანქანაში ჩაყარა. იმ რახრახნა მანქანას პირზე ეშვებივით ჰქონდა ფოლადის კბილები. როგორც კი თავის გაუმამლარ ხორთუმს საძირკველში გამოჰკრავდა, ძველი კედელი მიწაზე იშლებოდა, ხოლო რახრახნა მანქანა მას ძია ვანოს მანქანისაკენ ეზიდებოდა.

მეორე დღეს მიხა ეზოში რომ ჩავიდა, ველარაფერი იცნო; სადღა იყო გურამის ძველი, პაწია სახლი! მის ადგილას ახლა მშვენიერი ყვავილები დაერგათ და მწვანედ შეღებილი სკამები მოეტანათ, — ბალი გაეშენებიათ. ტყიდან დიდი ხეებიც წამოვლოთ და ეზოში ჩრდილი იყო. ხოლო დანგრეული ძველი სახლი ხევში ჩავდგოთ. თურმე გზას აკეთებდნენ და ხევის ამოვსება იყო საჭირო.

მიხა მეფხოვეს მივარდა და ჰკითხა:
გურამი ახლა სად ცხოვრობსო? მეფხო-
ვემ ხელი მოჰკიდა მიხას და წაიყვანა.
ბევრი არ უფლიათ, სულ მალე ახალ სახლ-
თან მივიდნენ. იქ ხალხი ტრიალებდა.
მეფხოვემ აუხსნა მიხას, ამათ ახალი ბინე-
ბი მიიღეს, გურამიც აქ ცხოვრობსო.

მიხამ ამხანაგის საძებნელად გას-
წია. ახალი სახლი მალე
იყო, თან ისეთი მაგარი
ქვით აშენებული, რომ ის
გრძელკისერა, ხორ-
თუმა მანქანაც ვე-
რაფერს დააკ-
ლებდა.

სადარბაზო
შესასვ-
ლელ-
ში

კედლები თეთრად ლაპლაპებდა. კი-
ბეები პრიალა იყო, ქერზე დიდი ქა-
ღები ეკიდა. თურმე ღამე ისე ანათებდა,
რომ ძალიან მოხუცებულნიც კარგად
ხედავდნენ და კიბეზე თავისუფლად
ადიროდნენ. ყველგან საღებავის სუნი
იღვავდა. ეს სუნი ისე სასიამოვნო იყო, რომ
მიხასაც მოუწონდა ახალ სახლში ცხოვრება
და ამ პრიალა კიბეებზე ბარგის ატანა.

მიხამ მალე იპოვა გურამი. გურამი
დიდ ოთახში ცხოვრობდა. იატაკზე წი-
თელი ტყავის მსგავსი საფენი ეგო. ხალ-
ხი რომ დადიოდა, ნაბიჯების ხმა აღარ
ისმოდა.

ბევრი აცეცა მიხამ თვალები, რომ
ოთახში კარადები დაენახა, მაგრამ სახ-
ლის კედლები გამოეკრათ და კარადები
შიგ ჩაესვათ,—მხოლოდ მათი კარები ჩან-
და. რა კარგია! მიხა შინ ყოველთვის ეჯა-
ხება კარადას, აქ კი აღარ დაეჯახება.

ფანჯრებზე ყვავილები იღვავდა, თეთრად
შეღებილი ჩარჩოებიც ისე პრიალებ-
და, რომ მიხამ ხელი მოუსვია, ზედ
რძე ხომ არ არის დაღვრილიო.

მიხას ყველაფერი ძალიან მოე-
წონა და ამხანაგს უთხრა:

—რა ღონიერი მანქანა
ჰყავს მამაშენს! აი, მეც
რომ მქონდეს მან-
ქანა, ჩემს სახლს
შენს გვერ-
დით გად-
მოვიტან-
დი...



— მამას ვთხოვ და მანქანას გამოგი-
გზავნიან,— თქვა გურამმა.

— არა, ჩვენი სახლი უფრო ღილია, მან-
ქანა ვერ დასძრავს, თვლები დაემტრევა.
გურამმა ხელი მოჰხვია მიხას, ტუჩე-
ბი ყურთან მიუტანა და წასჩურჩულა:

— მე ენახე, მიხა, მამას მანქანას გვერდ-
ზე მიკრული აქვს მეხუთე თვალი...
ერთი რომ გაუტყდეს, იმის მისაშველებ-
ლად.

— მაშ შეიძლება ჩვენი ოთახიც წა-
მოვიღოთ ახალ სახლში,— გავხარდა მი-
ხას.— მანქანას ოთხი თვლიდან თუ ერთი
გაუტყდა, მას ხომ აქვს მეხუთე..

მიხა უინისაკენ თავქუდმოგლეჯით
გაიქცა. მიიბრინა და დედას კალთაზე
მოეჭიდა:

— დედა, მალე ძია ვანო მანქანას მო-
იყვანს და ჩვენს ოთახს გადაიტანს ახალ
სახლში... მე და გურამი ისევ მეზობლე-
ბი ვიქნებით!

ერთ დღეს ძია ვანომ თავისი მანქანა
მოიყვანა. მიხამ და დედამ ბარგი
ჩაალაგეს, დასხდნენ მანქანაზე და
ახალ სახლში წავიდნენ.

ხოლო მიხას ძველ სახლს,
როცა ღამით ბებერ კედ-
ლებს დაეძინა, გრძელ-
კისერა მანქანა დაეჯახა
და დაანგრია. მერე
ისიც წაიღო და
ხევში ჩაავდო.


ახლა მი-
ხა და

გურამი ისევ მეზობლები არიან. მათ
ორივეს დიდი, მზიანი ოთახები აქვთ,
ფართო აივნიდან ქალაქს გადაჰყურებენ.
თუ ვისმე კიდე დასჭირდება ახალ სახლ-
ში გადასვლა, ძია ვანოს მანქანა თვა-
ლის დახამხამებაზე გადმოიყვანს. ერთი
თვალიც რომ გაუტყდეს, მისა-
შველებლად მეხუთე, რკინის
თვალი აქვს.

თუმცა ძია ვანოს მან-
ქანა მზიარულად და-
გრიალებს და დღემ-
დე მეხუთე თვალი
არ დასჭირვებია.

ნახატები

პლ. ვუხნაძისა



ფისოს კული

ჩემს პატარა ფისოს
შევეჯერე კაბა,
ამოღენა ბაბთი
ყელზე გამოვანი,
თავზე დავახურე
ამოღენა ქული,
ვერსად დავუშაღე
ასე გრძელი კული!



მიღი, მივადგოთ
ეს ოთახი, არჩიღ,
ფედა შინ არ არის,
ახლა მარტო დავრჩით!..
გადვუსვათ, ბიჭო,
ყვედგან სუფთა ტიღო,
როგორ დაბაჯბაჯვებ,
ნუ ხარ სასაციღო!


ჭაჭიაჭის სიბღარკა

ბამთარია, ხეები
თოვლით დახუნძღლია.
ბამთარია, ქარი ჭრის,
ჩვენ არ გვეცემა სრულიად!
აქ ვართ ჩაცუცქულიები
დაცქვეტიღი ყურებით,
ღიღით ადრე პირს ვიბანთ
მოღკიღი თათებით,
კარგად დავსუფთავღებით,
სულ მთლად გავღამაზღებით,
მერე საუზმისათვის
ერთად გავემგზავრებით.



ბ ჯ ჭ ი ა

თათებს აბაკუნებ
მთელი ღლე და ლამე,
თუკი გცივა, მითხარ,
მოგახურავ რამეს.
ტურებს აცმაცუნებ,
აკრატუნებ კიკებს,
თუკი გშია, საჭმელს
აბა ვინ დავიჭერს!?
ოღონდ მოღი ჩვენთან,
ნუ კი გეშინია,
სულ არ იკბინება
ეს ჩვენი ფინია.



მაგანგალა ფეხსაცმელი



ელენე გვხვარი

ნახატები მ. როინიძევილისა

ორშაბათ დილით შიმიკმა საწოლთან მხოლოდ მარცხენა ფეხსაცმელი იპოვნა.

— მარჯვენა სადღა? — იკითხა მან, მაგრამ მარცხენა ფეხსაცმელმა პასუხი არ გაცა. თასმის გასაყრელი თორმეტი ნაჩვრეტი ისე შესქეპროდა ბიჭს, თითქოს თორმეტი თვალიაო.

ნამდვილად მარჯვენა ფეხსაცმელიც ასევე აჭყეტდა სადმე თავის თორმეტ თვალს, მაგრამ სად? არც მაგიდის ქვეშ იყო, არც სავარძლისა... და იცით, ბოლოს სად გამოჩნდა? — ლუმელსა და პატარა მაგიდის შუა.

— მე შენ გიჩვენებ სეირს! გუშინ კარადის ქვეშ იყავი, დღეს აქ დამემალე! — გაიბრუნა შიმიკი. ფეხსაცმელიც გაიბრუნა და პირი კედლისაკენ მიიბრუნა. გრძელი თასმები კი უღვამეზივით ეკიდა აქეთ-იქით.

სამშაბათ დილით სულ პირიქით მოხდა: საწოლთან ახლა მარჯვენა ფეხსაცმელი ეგდო.

— მარცხენა სადღა? — იკითხა შიმიკმა, ცალი ფეხსაცმელი ჩაიცვა და ასკინილით დაუწყო ძებნა, — კუნჭულ-კუთხე არ დარჩა

დაუთვალე რეგული. მარცხენა ფეხსაცმელი კი არსად ჩანდა! ნეტავ სად გაათენა ღამე?

— სეიტერს ჩავიცვამ! იქნებ ის საძაგელი ფეხსაცმელი მერე გამოჩნდეს! — გადაწყვიტა შიმიკმა.

სეიტერიც არსად იყო. იქნებ მარცხენა ფეხსაცმელმა აიყოლია და ერთად მიიმალნენ სადმე კუთხეში?

ბოლოს გამოჩნდა სეიტერი, თურმე საწოლქვეშ ეგდო. სეიტერს ქვემოდან კი მხარეთმოზე წამოწოლილ ფეხსაცმელს ენა გადმოეგდო.

იღა გაბრაზებული შიმიკი და თავს სინანულით იქნევედა.

— რა მოსაწონია ასეთი მატანტალა ფეხსაცმელები? ვერა და ვერ დაიხსომეს თავისი ადგილი! ავდგები და ყოველდამე საწოლის ფეხზე მივაბამ. აბა, მერეც იტანტალონ! — დაემუქრა შიმიკი ფეხსაცმელებს, მჭიდროდ შეიკრა თასმები, რომ ფეხიდანაც არ გაჰპარვოდნენ, და იატაკზე ბაკიბუკი აუყენა.

თარგმანი პოლონურიდან ო. რომანჩენკოსი და ქ. ჭილაშვილისა





ნიშანა

თამარ ჩხიძე ნახატები ძ. მახარაძისა

ვერავენ ამღერებს ნიკას დედასავით ქოთანს.

— d-d-d, d-d-d! — ჩასძახიან რძის წვრილ-წვრილი ნაკადულები და შიგ თეთრად ქაფდებიან.

— თითქოს საპნის ქაფია! — ამბობს ნიკა და იცინის.

— ჩუმაღ, დოთუნა არ შემიშინო! — აწყნარებს ნიკას დედა.

— განა მშიშარაა, ისე ურჭინა გუშინ მურიას... აღბათ ეგონა, ნიშანას უკბენსო, — იცინის ნიკა.

დედამ დოთუნა მოწველა.

— წრუბ, წრუბ! — ჩასძახეს ქოთანს რძის ბოლოო წვეთებმა. განა მართლა ბოლოო წვეთებმა? ეშმაკია დოთუნა, თავის ნიშანას უნახავს რძეს. აი, მორბის ნიშანაც კუნტრუშ-კუნტრუშით. დახეთ, მთლად მოწითალოა, მხოლოდ ფეხებზე თეთრი წინდები აცვია. შუბლზედაც თეთრი ნიშან-ლაქა აქვს, ამიტომ ჰქვია ნიშანა. დედისაქენ მორბის ნიშანა. წინ რა და-ულდება?

— ჰამ! — მურია შეეფთა.
არ დაფრთხა!
— ყიულიყო! — მამალი გადაელობა.
არც მიხედა!
— მიავ! — ფისომ შეჭკნაულა.
მასაც გვერდი აუქტია!
— მოო-მოო-მოლი! — ეძახის დოთუნა.
— მ-შ-ი-ა, მ-შ-ი-ა! — მიაბღავლა ნიშანამ დედას და ჯიქანში თავური აჰკრა: ჩქარა, რძე მომეცო.
— მოო-მოითმინე, შეილო, შორს მაქვს გადამალული, — ზმუის დოთუნა და ჯიქანს ნელ-ნელა იცვებს რძით.
განა ნიკას დედა ახლა ხელს ახლებს? ის ხომ ნიშანას წილია, დედის მიერ და-ზოგვილი.
სწოვს ნიშანა თქაფათქუფით, ტუჩებზე თეთრი ქაფი ადგება. ნიკასაც მოს-დის მაღა და დედა, თითქოს გულთმისა-ნიაო, ეძახის:
— ნიკა, ნიკა!

— ბატონო, ბატონო!—გასძახის ბიჭი და ოდისაყენ ვარბის.

— ჩხაკ-ჩხუკ, ჩხაკ-ჩხუკ!—ჩხაკუნობს რკინის პირსაბანი და ესხმება ხელისგულებს წყალი. ეს ნიკა იბანს პირს. კარვად იბანს პირს ნიკა: თვლებს, ყურებს, კისერს, თმასაც კი ისველებს. შემდეგ იმშრალავს ბუმბულა პირსახოცით. ზედ ტოტი და ჩიტებია გამოსახული.

— აქშიო-აქშიო! არა, არ გაფრინდეთ!—ეუბნება ნიკა ჩიტებს და პირსახოცს საფენზე აფენს სურათივით.

თმასაც თვითონ ივარცხნის ნიკა, შემდეგ საუზმობს: რა გემრიელია რძეში ჩახლილი კვერცხები!.. ჰამს წესიერად, ნიშანსავით თქათათქუფით კი არა! მხოლოდ მაღა აქვს ისეთივე, წვეთს არ სტოვებს საინზე.

ისაუზმეს ნიკამაც და ნიშანამაც. ნიშანას ალოკვილი აქვს თავზე ქოჩორი და ტანზე ბალანიც. ხტის ნიკას წინ და თავს აწონებს.

შემდეგ გუთნობია ითამაშეს,—შენ ხომ გამწევი ძალა იქნები, როგორც წიქარა ხარი, გესმის?—ეუბნებოდა ნიკა.—მესმის, მესმისო,—თავს უქნევს ნიშანა.

ღოთუნა ფერმის მწყემსებს წაჰყვა სამწყესურში, ნიშანა ნიკამ უნდა წაიყვანოს იქვე, ეზოს გადაღმა, მინდორზე, სადაც ბიბინებს: იონჯა, ქათამნაცრა ჯიჯილაყა, ვირის პიტნაც, ი.

— იქით, იმ ყანებისაკენ პირი არ ქნა, საერთოა, მთელი სოფლისა, გესმის?!

ნიშანამ ბოლოთერთა კული დაუქნია,—მესმის, მესმისო. მაგრამ სწორედ იქით იბრუნა ძირი და გაჰქუსლა.

მირბის ნიშანა, თავზე ევლებს წამოჩიტულ სიმინდებს. მირბის კუნტრუშ-კუნტრუშით.

სად იყო და სად არა, გაჩნდა თოფიანი კაცი. შეეგება წინ ნიშანას, ჩაავლო ხელი საყელოში და ნაპირზე გამოიყვანა.

— მომეცი, მომეცი, ბიძია!—შესძახა ნიკამ.

მაგრამ კაცმა ნიშანა მიახა და ნიკას მიუტრიალდა:

— არა, ბიძიკო, ვერ მოგცემ, ჯერ ზარალი უნდა გამოვარკვიო: რამდენი ტარო სიმინდი ჰამა, რამდენი პარკი ლობიო. მეველე ვარ, მეველე!—თქვა მეველემ; ხელი ქულთან მიიტანა და გასწია ყანაში.

— ბიძია, ბიძია, ტარო სადაა, ჯერ ხომ სიმინდი სულ პაწიაა, ლობიოსაც პარკი სადა აქვს?—მიძახა ნიკამ.

მაგრამ ძია მიდიოდა და ხმამაღლა ანგარიშობდა:



მიიყვანა ნიკამ ნიშანა. არც დაბა, არც საყელოურის თოკს ჩაავლო ხელი. მიუშვა თავის ნებაზე.

— მიირთვი, ნიშანავ, მიირთვი!—სთავაზობდა ნიკა, თან აფრთხილებდა:

— თითო სიმინდის ძირი ოთხ-ოთხ ტაროს დაისხამდა, თითო ძირი ლობიო—ათ-ათ პარკს...

იარა, იარა, ეძია, ეძია, დაბრუნდა ბოლოს და ნიკას მოახსენა: არც ერთი

ტარო სიმინდი, არც ერთი პარკი ლობიო არ უჭამიაო, და საყვლოურის თოკიც მისცა ხელში: მაგრად დაიჭირეო.

— გმადლობთ, გმადლობთ, ბიძიავე!— უთხრა ნიკამ.

მეველემაც უთხრა: არაფერი არ გეწყინოს, პატარა კაცო, ჩემგან, მეველეს ვარ და მოვალეც, რომ ყანას თვალყური ვადევნოო.

გამოეთხოვა ნიკა მეველეს, ნიშანა წინ გაიგდო და შინისაკენ გასწია. ათი ნაბიჯიც არ გაველო, რომ დედა შეეგება, შინ მიიყვანა და ნიშანა ეზოს განაპირად დაბა. ნიკაც იქვე დარჩა, ნიშანას ახლოს. თოკზე არ დაეხეიოს, არ გაიგუდოსო,— უთხრა დედამ ნიკას, სურათებიანი წიგნი დაუტოვა და წავიდა, ბოსტანი მაქვს გასამარგლიო.

ნიკამ წიგნი გადაფურცლა. უცებ ტაში შემოჰკრა და წიგნი ნიშანას მიუბრუნა: აი, ნახე, შენ ხარ დახატულიო. დახედა ნიშანამ ბოჩოლას სურათს და ალოკა, დაღეჰკაც დაუპირა, მაგრამ ნიკამ წაართვა.

მზე მალლა იყო ასული. დედამ დაუძახა: მოდი, პური ეჭამოთო. ისევ დაბანა ხელი ნიკამ, ისევ ეწვია სუფრას. სუფრასთან ახლა მამაც იჯდა: ჩვენი მწყემსი მობრძანდაო,— თქვა.

უპ, რამდენი სათქმელი აქვს ნიკას! ჰკითხა კიდევ დედას:— მეველეს რომ თოფი აქვს, გავარდებო?

— გავარდება, თუ მეგლი მოუვარდება,— პასუხობს დედა.

— როცა გაიზრდება, ჩემი ნიშანა ხომ კარგი ხარი დადგება?

— კაი მწყემსს გააჩნია!— მიუგო მამამ. ისაღილა ნიკამ, ნიშანასაც მიუტანა ბოთლით წაჭი.

— დახუქე თვალები, გააღე პირი!— უთხრა, მაგრამ ნიშანამ არც თვალები დახუჭა, არც პირი გააღო. ნიკამ ჩაუდო პირში ბოთლის თავი.— ყლოუპ, ყლოუპ, ყლოუპ!— სვამდა ნიშანა, ბოლო ყლოუპზე კი დაახველა:— კხე-კხე!

— აი, აი, ნათლია ზევით!— აახედა ნიკამ მალალ ხეზე. ხის ტოტზე კი ხტოდა პაწია ჩიტები-ჭინჭრაქა, ხტოდა და გალობდა: ჭრიკ-ჭრიკ-ჭრიკ!



მახარობელი

მივდივარ ტუქში. ჩაშსუცვებია ერთმანეთს სვები, ჩაუნლართიათ ტოტებია. მსეს ვერ ჩამოუღწევა აქ და დევს ქვევით თოვლის საბანი. ტუის ჰირას კი კაშკაშებს მსე, თოვლი ალბათ აქ და-მალვია მას; სანამ დაიმალები, თოვლო?

რადაც წითელი ფერი მეცა თვალში. დავინარე...
ოპო! გამარჯობა შენი, უოჩივარდაუ! ასე ადრე რამ მოკვივანა? შეარსია თაჟი უოჩივარდაუ, წელში გასწორდა. ცეწინა ჩემი გაკვირვება? შენ სომ ყველაზე ადრე მოდიხარ, სიცვიესა არ გე-მინია. ავიერია წიფლის ფოთლები და გამოსულსარ გართ.

ფროსილად გავწიე სმელი ფოთლები. რა უცნური ავებულებისა უოფლად მისი ქვედა ტანი.



გავედი ჩემს საყვარელ ადგილას, ეს ტუის ჰირთან ახლოსაა. დიდ ნაძეს დაბლა დაუწვვია ტოტები და მშვენიერი კარავი გაუმართავს. წვიმას აქ ბევრჯერ შეგფარებიათ მეც, ჩიტებიც და აქაური სხვა ბინადარნიც. ჩემს მასპინძელ ნაძეს თოვლი უკვე გაუსტუმრებია, ან-ლა სსვა სტუმრებს ელის. ჯერ ადრეა, ჩემო კარგო! გასაფხული მართალია ახლოსაა, მაგრამ ჯერ ხომ არ მოსულა. წვიმაც მანამ არ დანცხებს, ვიდრე შენი მეგობარი ნაძეები იმ თოვლის ძოლად არ გაამეყვებენ. არც არავინ დაიმალება შენს კარავში, ან შენს ახლოს. მაგრამ გული რომ არ დაგწედეს, ჩამოვადები შენს ძირას. შიგ კი ვერ შემოვალ. ცივა ახლა მაგ შენს კარავში.

სის ძირას შარშანდელი წიფლის ფოთლები ევარა. ეს სომ შერეული ტუქი იყო. დასწებებოდნენ ერთმანეთს სმელი ფოთლები. ავიდე ჩხირი, მიწა-დოდა გაშესრიატა და რომელიმე ევაგილის თუ ბან-ლასისათვის გზა გაშეთავისუფლებინა. უცბად

ღერო თორმე ფესვებთან ერთად მიწაში ღრმად აქვს ჩასული. როცა ზაფხულის სიცხე დადგება, ის სიცხეს ვერ იტანს და მიწაში იმალება—ავაკი აქა ჭქონია!

ამოვაცალე უოჩივარდას გარშემო მიწა და რადაც შორგვისებური ძირი ვუნახე ფესვები კი ძალიან სუსტი ჭქონია, ძალიან ნაზი. ხეტაც როგორ საზრდობის ამ შაწია ფესვებით, ან წყალს როგორ იწოვს მიწიდან?

მაგრამ დახე! ამ ეავისფერ ძირში თურმე საკუწხაო გაუმართავს. თერთად შორეუროთმებულ, თითქოს შატარა ქართულ დაბაზში ჩაულავებია თავისი სარჩო-საბადებელი და ხე-ვით ეავისფერი ღეროთი აწვდის თავის ევაგილებს. უოჩილ, ჩემო უოჩივარდაუ! ვინ იცის, იქნებ იმიტომ დაგარქვეს ეკ სახელი, რომ გასაფხულის ევაგილებს უოჩივით წინ მოუძღვებია.

ნუ გემინია, მე შევლს არ გასვლეს!—წავალ. ვნახავ, რამდენნი სართ ასეთი გმირები.

გზა მშვიდობისა, ჩემო კარგო!

სინდოფალა



არსებობს ელანიძე

ზ ღ ა პ ა რ ი

ნახატები ალ. გიგოლაშვილისა

სოფლის განაპირას ტყეში ცხოვრობდა ერთი ცბიერი სინდოფალა. სოფელში ქათამ-წიწილას არ ასვენებდა, ტყეში და მინდორში—ფრინველებს, თავგებსა და მწერებს.

ერთ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა. ყველა ცხოველი ბუნაგში შეიმალა, მყუდროებას მიეცა. სინდოფალამ დიდი თოვლი დაინახა თუ არა, აკანკალდა,—საზამთროდ არაფერი მოემარაგებინა. წაბლისფერი ბეწვი ისე გაუთეთრდა, რომ თვითონაც თოვლს დაემსგავსა. შიმშილმა შეაწუხა, მოიმარჯვა ბრჭყალები, აიღესა კბილები, მაგრამ ვერაფერს გახდა,—საითაც გადახტა, ყველგან თოვლში ჩაეფლო.

ბოლოს გაახსენდა მეზობელი ციყვი, რომელსაც საზრდო უოველთვის საკმაოდ ჰქონდა ხოლმე საზამთროდ შენახული, და კარზე მიადგა.

— მობრძანდით, ჩემო მეზობელო!— შეიპატოჟა ციყვმა სინდოფალა თავის სადგომ ფულუროში.

სანამ მასპინძელი რამეს ჰკითხავდა, სტუმარმა თვითონ შესჩივლა თავისი გასაკვირი და ხორბლისოდენა ცრემლები ლოყაზე ჩამოუვარდა:

— მიშველე რამე, ჩემო კეთილო! ზამთარმა ლამის შიმშილით დამახრჩოს,—ხოშიცი, ჯიშად არ მოგვდგამს ზამთრის თადარიგი. ჩემი ბასრი ბრჭყალები ველარაფერს მშველიან. შენ ზამთრის საზრდო შენახული

გექნება, მასეხებ ცოტა რამე და შემოდგომაზე ისევ დაიბრუნებ.

ციყვს შეეცოდა მშვიერი სინდოფალა, საკუქნაოში შეიყვანა და უთხრა:

— აირჩიე, რაც გვენბოს: თხილი, კაკალი, წაბლი, ოღონდ იმ პირობით, თუ შემოდგომაზე ისევ დამიბრუნებ.

— ნამდვილად გადავიხდი. შემატყობინე, როცა ხილის შეგროვებას დაიწყებ, და იმ წუთში შენთან გავჩნდები. ერთს ასად აგინაზღაურებ, გინდ ამ საკუქნოს მარტო მე ავიგებო.

სინდოფალამ წიფელი და პანტა აირჩია, გატენა ერთი ტომარა, წამოიკიდა ზურგზე და გაუდგა გზას. ციყვმა სახლამდე მიაცილა სინდოფალა, ტვირთის წაღებაში მიეხმარა, თან მისი კარ-მიდამო კარგად დიხსომა და გამობრუნდა.

თოვლი თანდათან გადნა, გაილია, სუსხიანი ზამთარი მალე გაზაფხულმა შეცვალა. გამოძვრენ სადგომებიდან ცხოველები, ახმაურდნენ ფრინველები, აბზუვლდნენ მწერები.

გამოვიდა ფულუროდან ჩვენი სინდოფალაც, ბუკალზე ბუკალზე გაუსვა, კბილი—კბილზე და ძველებურად გაინადირა. მალე ისე მომჯობინდა, რომ ზამთრის თეთრი ბეწვი სრულიად გასცვივდა, ზურგის მხარეზე წაბლისფერი ბეწვით შეიმოსა, ხოლო ყელზე და მუცელზე—ისევ თეთრად. გაერთო ნა-



დირიბით, გადავიწყდა სუსხიანი ზამთარიც და მეზობლის სესხიც.

მოვიდა თუ არა შემოდგომა, ციყვმა აილო ტომარა და მიაღდა მოვალეს კარზე.

იმ ფულუროდან წაბლისფერი სინდიოფალა რომ გამოძვრა, ციყვი, ცოტა არ იყოს, შეკრთა, ვედარ იცნო თავისი მოვალე, მაგრამ მაინც გაუბედა და მსოვლის მიზეზი უთხრა.

— ხი, ხი, ხი! — ჩაიხიხითთა ცბიერმა ნადირმა, — თუ თქვენგან თერთმა სინდიოფალამ წაბლი და პანტა ისეხა, მე რა შუაში ვარ. სულ რამდენიმე თვია, ფულუროში ცვტოფრობ და აქ თეთრი სინდიოფალა არ მინახავს.

— რაღა იქნება! კიდევ მოვა ზამთარი, გაახსენდება ჩემი საკუქნაო, — ჩაიბურტყუნა ციყვმა და გაბრუნდა.

— ასე იოლად როგორ ტყუვდები, შე ბრიყვო? — ჩამოსძახა ჩხიკვმა, — ეგ არის ნამდვილად ის ცბიერი სინდიოფალა, ზამთარში შიმშილს რომ გადაარჩინე.

— მართალია, ის არის, — დაუდასტურა თრითინამ, — მაგან მეც მომატყუა. სარგებლობენ ფერის ცვლილებით: ზამთარში თეთრი ბეწვით იმოსებიან, გაზაფხულიდან — წაბლისფრად.

— მაშ, რაკი ავრეა, სამართალში მივცემ და ამოვაშხამებ ჩემს ვალს, — თქვა გაგული-სებულმა ციყვმა.

ციყვს თრითინა და ჩხიკვი მიეხმარა, მათ სხეებიც შეუერთდნენ. შებოქვენ სინდიოფალა და მიიყვანეს მელახთან დასაჯულად.

მოსამართლე მელა უზომოდ გაოცდა, რომ მისი ნათესავი სინდიოფალა ციყვს, თრითინას და ჩხიკვს ასე ადვილად გაუკოკიათ. მან მხრებზე წამოსასხამი მოიგდო, კუდი იდლიაში ამოიჩარა, იქვე მუხის ფეხებზე ჩამოჯდა, საჩივარი მოისმინა და ბოლოს ბრძანა:

— თქვენი გულისტკივილი ზედმიწევნით გავიგე, ყველაფერი ნათლად წარმომიდგა თვალწინ; ეგ ისეთი ცბიერი არხებაა, რომ შესაძლებელია თქვენ მართლები იყოთ. მაგრამ მე ახლა უფლება არ მაქვს მისი დასჯისა: როცა თქვენგან ისეხა, მაშინ თეთრი ფერისა ყოფილა, ახლა კი წაბლისფერია, ამას რა მოვთხოვო! მოიყვანეთ სამართალში მაშინ, როცა თეთრი ფერისა გახდება. ასე სწერია ჩემს კანონში.

ერთხელ სინდიოფალამ კარგად ინადირა. წამოიკიდა ნანადირევი და გაუღდა



ჯვას. მიდის სახლისაკენ და თან ფიქრობს: ახლა ლაზათიანად დავნაყრდებო. უცბად იქვე ახლოს აწივლდა წიწილა. გაუკვირდა სინდიოფალას, ახლა აქ წიწილას რა უნდაო, მაგრამ სულმა წაძლია, დაავლო ძირს ნანადირევი და იმ მხარეს ისკუპა, საიდანაც ხმა მოესმა. ახლა მეორე მხრიდან მოესმა წიწივი. ვერც იქ ნახა ვერაფერი. წიწილა სულ ახლოს წიოდა, სინდიოფალა კი ევალს ვერ აგნებდა. ბოლოს ლასლასით გამობრუნდა თავისი ნანადირევისაკენ, მაგრამ სადღა იყო? აქეთ ეცა, იქით ეცა, ნანადირევს ვერსად მიაგნო და ხსიკვეშ მიეგდო.

— წივ-წივ! — უცბად ჩამოსძახა ხიდან ვილაცამ. სინდიოფალამ ზევით აიხედა და რა ნახა! თურმე ჩხიკვი ატყუებდა. ციყვი და თრითინაც იქვე ისხდნენ, ხოლო მისი ნანადირევი მალლა ტოტზე ეკიდა.

ასე ამოიყარეს ჯავრი ცბიერ სინდიოფალაზე.



ნახატები ბ. შოსთაძისა

პეპა

მორჩი კაპაჩიჩა

მეუთერთა თმა პაპაჩემს,
დაგუბრდიო—ამბობს.
ჭარხანაში ვეღარ დადის,
შაინც წასვლას ლამობს.
ახლა ანანს სათვლითაც
ვეღარ არჩევს ნათლად.
ხან ადგომა უწმელდება,
დაკვივრდა მართლაც.
შინ ფუსფუსებს, საქმიანობს,
პატარებსაც გვართობს...
გუშინ გემი გავვიკეთა
მალალი და ფართო,
ზემოთ დასვა კაპიტანი—
მეზღავური კარგი,
წინ მეზაერები მოათავსა,
უკან მათი ბარგი.
გამრუჯ არის ჩემი პაპა,
უწყონარი, მშვიდი.
ახლა უნდა აგვიშენოს
ნავსადგური დიდი.
კეთილია პაპაჩემი,
უფარს ყველა ბავშვი.
იგი ბენსიონერია,
დაფუსფუსებს სახლში.



შეგონა მანაკონა საბერძნეთის ნაპირული ახალგაზრდა პოეტი პეპა. იგი მავშობიდან მინაწილებდა პარტახანულ ბრძოლებში თავისი სამშობლოს თავიერულად. ხასიათის, აქამად ახალისის სახელწოდებით უწინააღმდეგობის ზედღვა. ეხვედეთ მის ირ ლექსს



თაგუნა

ლაშა და ჩვენი ოთახში
ყველას უკვე მაგარად სძინავს,
ზარმაც ფისის შესცივრა,
მოკეცია ბუხრის წინა.
შოლოდ ფიხილობს კარადში
სათაგური მეტად ფრთხილი,
უდარაუბეს ჭურბ-ბატაკებს,
არ ედება თვადზე ძილი.
— წყაპი!—უცრად გაისმა და
სათაგური ჩაიკეცა,
სამმა წუწკმა თავს უშველა,
მხოლოდ ერთი დარჩა კენტად.



პეპედა

—ჩემთან მოფრინდი, პეპედა,
შენთვის ვაგულ კარები,
ნუ გეშინია, მაგ ფრთებზე
ახლოს არ გაგეკარები.
შაქარსაც გატევე, მოცივილი,
აგიგებს საბღს და საშუაფელს,
მთლად აბრეშუმის ოქნება,
სულ სიბარულში გამყუფე!
— შენთან არ მინდა ცხოვრება,
არც აბრეშუმის სახლები,
ყვავილის თაფლი ესაბრეობო,
შაქარსაც არ გიახლები!

თარგმნი ლეილა ეჩაძემ

ანა პალაძე

ბურთი და გელანი

რუსოს ძალიან უყვარდა ბურთის თამაში და, თუ ცუდი ამინდი იყო, ოთახშიც თამაშობდა. ამიტომ იყო, რომ ბუთის და ჯედა უკუკრფობიანს სივლიყურთხელ კარავი წყიდდა. რუსომ დრო იხსელთა და ოთახში ბურთის თამაში დაიწყო. ბურთი საწერ მსიგინდს მოხვდა

და მქლნით სავსე ბითული კადმოაკდო. მქლანი იატაკზე დაიქცა და სკამზე გადაკვიდებულ მძის ასლთახსელ ზიავას სიეშეუე.

რუსოს ძალიან მქეძინდა, მძის ზიავად დაეჩანა და მწარედ ატორდა. ბუთიამ სმსარეულთან მითრბინა და

იბსიაც ძლიან დასწდა გული.

— ცრუბლეგიით რადს უქმედი,— უთხრა ბუთიამ,—მარკამ დღეს ნუ ვუცუთი მძის. ზიავას კეკეწმინდინებ და მქმდეე ვეამთო.

— დღეს არ ვუთხრათ,—დაეშინა რუსო,—ბურთის კი ადრანსოფეს ვითამაშებ

ოთახში.

მძის სმსარეულიდან მძლე დაბრუნდა. რუსო ყვლზე წამოკეცა და აწქარეით ჩასსწრწულა:

— მე და ბუთია არ ტარეკით, რომ ახალი ზიავაი მქლნით დაეითეგრე. ამის მერე გითამაშობ.

ატეზარა

ნასულა ლოიკვა

ნახატები რ. მახვირიძისა



იყო ერთი პატარა ბიჭი, სახელად ჰაინერი. მას ჩვევად ჰქონდა უცხოთა კარზე ზარის დარეკვა. დარეკავდა ზარს და მაშინვე დაიმალებოდა.

ახლომანლო მცხოვრებლები კარგად იცნობდნენ ამ ბიჭს და მეტსახელად აბეზარა ჰაინერი შეარქვეს.

თუ ჰაინერი ვისმე კარზე ზარს ჩამოჰკრავედა, მისი ოინებით გულგაწყალებული მოზინადრენი ჯერ ფანჯრიდან გამოჰხედავდნენ, ჰაინერი კი უმაღ კუთხეს აეკრებოდა.

ერთ დღეს დედამ უთხრა ჰაინერს:

— შეილო, მე სამსახურში მაგვიანდება,

მიირბინე ერთი წუთით აქვე, მეზობელთან, და ეს ბარათი გადაეცი. იცოდე, წერილი საჩქაროა. თან ფრთხილად იყავი, არ დაკარგო.

— ფიქრი ნუ გაქვს! — დარწმუნებით მიუგო ჰაინერმა, გამოართვა დედას წერილი და მოჰკურცხლა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჰაინერი იმ

სახლის წინ გაჩნდა, სადაც წერილი უნდა ჩაებარებინა. ბიჭმა ზარი დარეკა, მაგრამ... კარი არავინ გაუღო. ისინი თურმე კარგად იცნობდნენ აბეზარა ჰაინერს, და როცა ფანჯრიდან თვალი მოჰკრეს მას, ყურადღება აღარ მიაქციეს. ჰაინერმა ხელმეორედ რომ დარეკა, ადგნენ და ზარი შეგინდნენ გამოთიშეს.

მაშინ ჰაინერმა დააკაკუნა, შემდეგ მუტებითაც მოჰყვა ბრახუნს. უცბად მისკენ დიდი შავი ძაღლი პეტერი წამოვიდა. ძაღლის დანახვაზე ბავშვი შეშინდა და წერილის აქეთ-იქით ქნევა დაიწყო. შავი პეტერი მივარდა ჰაინერს და წერილი ხელიდან წაჰგლიჯა. — ფხრიწი! — გაიხა წერილი შუაზე.

— შეჩერდი! შეჩერდი! — შეჰყვირა სასოწარკვეთილმა ჰაინერმა და მოპირდაპირე სახლთან მიირბინა დახმარების სათხოვნელად. ახლა იქ დარეკა ზარი, მაგრამ ამოლო. შენიშნეს თუ არა ფანჯრიდან აბეზარა ჰაინერი, გაიფიქრეს, ისევ მისი ჩვეულებრივი ოინიაო, და პასუხი არ გასცეს.



ჰაინერი გაოგნებული იდგა. ბოლოს გა-
დაწყვიტა ძაღლისათვის წაეგლიჯა წერი-
ლის ნახევები და წაიწია კიდეც მისკენ.
მაგრამ შავმა პეტერმა ბრაზიანად შეუ-
ღრინა. შეშინებული ჰაინერი ახლა სხვა
კარს მივარდა, რომელზედაც ზარი იყო
მიმაგრებული და ნერვიულად რამდენჯერმე
დარეკა. ისევ უშედეგოდ: კარი არავინ
გაუღო.

იდგა დაბნეული ჰაინერი და აღარ იცო-
და, რა ექნა; ერთის მხრივ ძაღლისა ეში-
ნოდა, მეორე მხრივ კი ის აწუნებდა, რომ
ღედის დანაბარები ვერ შეასრულა. ასე
კარგა ხანს იდგებოდა აბუზარა ბიჭი, რომ
შემთხვევით ვიღაც კეთილ კაცს არ ჩამო-
ეგლო და ჰაინერი გაჭირვებიდან არ ეხსნა.

გერმანულიდან თარგმნა ლამარა ლუკაძემ



ბეელი



და

მელა

ავღანური არაქი

ერთხელ ვეფხვი უჭეფოდ შეიქნა. მის
ბუნავთან მაშინვე მოიყარეს თავი მხე-
ცებმა. მხოლოდ მელა არ მოვიდა. მგელ-
მა შეამჩნია ეს, მივიდა ვეფხვთან და
ჩასჩურჩულა, მელა არ გვახლათო.

განრისხდა ვეფხვი და ბრძანა: მელა
სადაც ნახოთ, მაშინვე მე მომგვარეთო.

მელამ ეს ამბავი შეიტყო და თავისი
ფეხით ეახლა ვეფხვს ბუნავში.

— ოჰ, ჩემო მბრძანებელო! შენ თურ-
მე ჩემი ნახვა გინებებია და აი, მეც აქ
გავჩნდი.

— შე საზიზღარო, შენა!—დაუღრია-
ლა ვეფხვმა.—ყველა მხეცი მოვიდა ჩემს
სანახავად, შენ ვითომ არ გეკადრებოდა?

— ნუ განრისხდები, ჩემო მბრძანებე-
ლო! ყველაზე ადრე მე გავიგე შენი ავად-
მყოფობის ამბავი და მაშინვე წამლის
საძებნელად გავიქეცი.

— რას ამბობ?—ესიამოვნა ვეფხვს.—
მერე, მონახე რამე?


— დაიხ, მბრძანებელო, ის წამალი,
რომელიც შენ წამსვე მოგარჩენს, თურმე
ჩვენი რუხი მგლის ქუსლში ინახება.

— მადლობელი ვარ, მეგობარო, რომ
ასე ზრუნავ ჩემთვის!—დაუტკბა მელას
ვეფხვი და ბრძანა, მგელი სასწრაფოდ
მიეგვარათ მასთან.

გავიდა რამდენიმე დღე. ერთხელ მე-
ლა ტყეში სეირნობდა. უცბად მგელი
დანიახა, რომელიც სამ ფეხზე მოკივიკი-
ვებდა. ახლა კი უთხრა მელამ:

— რას ჩასჩურჩულებდი ვეფხვს, ჩემო
მეგობარო! დაბეზრება განა ვინმეს სიყე-
თეს დააყრის?!

თარგმანი ვ. ლაფერაშვილისა



ფერად-ფერადი



ბელურები

მოსი ურისხვილი

მუყაითი

ნახატები 26. კანკელაშვილი

ჩემს ფანჯარას ბელურების
ჭრიანული ბუჩქნის,
და სულაც არ ეძინათ
ჩემი კამოჩენის.
აცით, მათი წაგყენისთვის
როგორ ადრე ედგები?!
ღამის წვეცი წამსვალთ
თეთრი ნისკარტებით.
ვისაც ნამდვილ ბელურებთან
შეგვაბრობა უნდა,—
ნამცვეები იქონიოს
ფანჯარასთან შედამ.


პატარა სურია,
ახლა იდგამს ფეხს,
მაინც ეპოტინება
სელაქოს და სერსს.
თლის და ვერ გაუთიდა,
აწუბებს და სეეს.
რა ვუვით, რომ ჩილიკაც
ჯერ გათიდა დღეს...
სვალ უთუოდ გამოთიდას—
ნუ შეუძლით ზღეს!



გამოსანები

პ. სპინიანი

თავი აქვს და ტანი არა,
მეგრამ მისთვის თქვი ქმარა,
დაბლა მკბრის, მაკლა დაზარის,
დღი-კაბარაკა — ვაჟულა აღზნის.



პირად და თმფანანი,
შიბა უზია ჩაბოჩანი.



მ. შაპიანიძე

ვთუ მცხეთის ქუჩაზე ცხოვრობდა, მაგრამ
იგი ქუჩის სახელწოდებას ვერ გამოთქვამდა და
მცხეთის მაგიერ „ცხენის“ ქუჩას ამბობდა.
ბიჭები მუდამ აჯავრებდნენ:
— ვაფა, აბა, თქვი, რომელ ქუჩაზე ცხოვ-
რობ? —
ერთმელ ვაფის ვაზეპირებული სიტყვაც და-
ვრულა და წაშობდა:
— აბაჲს ქუჩაზე ცხოვრობ!

თამრიკო ცელქია, ძალიან ცელქი. თამრიკოს
დედა სხვა კალაშში წავიდა. ბებია ეშუქრება,
რომ დედას მიეწერა, როგორ იქცევით. თამრიკო
არ დაიბნა და უთხრა:
— შე არც წერია ვიცი და არც კითხვა, როგორ
გავიგო, რას მისწერა?



პინ რაზე ზივის

გივი ჭიჭინაძე





—ერთი ჰკითხეთ, პატარებო, რად არ იჭრის ფრჩხილებს წელი?— სწუხს, ძლიერ სწუხს ბუზრის თავზე უქმად მყოფი მაკრატელი.

—კბილებს უნდა გაფრთხილება, რად არ იწმენდს გოფი დილით?— ასე ჩივის პირსაბაზნე ჯაგრიის და კბილის ფხვნილი.

ეს მანანას საწოლია, დააკვირდით, აბა, კარგად! მუდამ ასეთ ყოფაშია, ბებომ თუ არ ააღაგა.

ბალში შივის დილით რებო, სუფთა ხადატს აცმევს ფედა, მაგრამ შინ რომ დაბრუნდება აღარ ვარგა შესახედა.

ეს ჯაგრუდა მტკრისთვის გახდაც, ისიც იმას ჩივის ახლა: —განაზრდაცა ჩვენი მერი, მტერიანი აქვს ტანსაცმელი.



ყდის მხატვრობა ივთინის შ. თოთიბაძეს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მ. მაცვალა მრეკელიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაქტოშვილი, შ. ცხალაძე (სამხატვრო რედაქტორი) გამომცემის ოცდაპირველობა წალი ღასინ ბან.

Д И А — еженедельный детский журнал ЦК АКСМ Грузии № 2, февраль. 1958 г. Тбилиси, Просп. Пашквича 91.
 საბლიტბამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პუბლიკის ქაოსი. 91, ტელ. 3-37-38. გამოცემა: შეჯ. № 614, სტამბის შეჯ. № 2718
 ფიგურა 25090 უა 00716 ბალმორილინა დასაბაჟდალ 16/1 1958 წ. ფრანკო დაქველდა ლითონი-ფიგურა ზეკვის ფრჩხილი